PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ -ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ბალანჩივაძე პროფესიული საგანმანათლებო დაწესებულების ექსპერტი

წევრები: ირმა არსენაშვილი, პროფესიული საგანმანათლებო დაწესებულების ექსპერტი

(ქალაქი, წელი) თბილისი 2020 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 19 ივნისის N493231 ბრძანების (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში ადმინისტრაციული წარმოების დისტანციურად განხორციელების შესახებ) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი (ნინო ბალანჩივაძე-ჯგუფის თავმჯდომარე, ირმა არსენაშვილი-ჯგუფის წევრი) გაეცნო სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის (შემდგომში „კოლეჯი/დაწესებულება“) მიერ წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ვეტერინარია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა მუშაობის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ვეტერინარია“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის სრულყოფილად შეფასების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმადგენლებთან შეხვედრამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია , განისაზღვრა და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დამატებითი მტკიცებულებები, ამასთანავე, შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი (დანართი №1).

დღის წესრიგით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და დაგეგმა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პრაქტიკული კომპონენტის (დუალური მიდგომით) განხორციელების მიზნით შერჩეული ობიექტების ხელმძღვანელებსა და ინსტრუქტორებთან ონლაინ შეხვედრები კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

კოლეჯში ავტორიზაციის ექსპერტთა ბოლო ვიზიტი შედგა 2019 წლის 11,12 და 13 ნოემბერს, ინტერვიურებისას დადგინდა, რამდენად შესრულდა წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

1. კოლეჯს ჰყავს საერთაშორისო პარტნიორები ჩეხეთსა და საფრანგეთში. თანამშრომლობა ხორციელდება სატყეო საქმის, ტრაქტორისტ-მემანქანის, მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით.
   გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, კოლეჯის 4 ადმინისტრაციის წარმომადგენელი, 2 პროფესიული მასწავლებელი და 7 სტუდენტი სასწავლო-საგანმანათლებლო ვიზიტით იმყოფებოდა აღნიშნულ ქვეყნებში.
2. კოლეჯი 2017 წლიდან ჩართულია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამაში. პროგრამის ფარგლებში, დღემდე გადამზადდა 295 ბენეფიციარი სამ პენიტენციურ დაწესებულებაში.
3. კოლეჯი 2018 წლიდან ჩართულია სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამაში, რომლის ფარგლებშიც ახორციელებს სამკერვალო წარმოებისა და მეხილეობის კურსებს. დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნული კურსი გაიარა მცხეთა-მთიანეთის 18 საჯარო სკოლის 210-მა მოსწავლემ.
4. კოლეჯმა მიიღო გაეროს განვითარების პროგრამის გრანტი, რომლის ფარგლებში: მომზადდა მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამა - ტრაქტორის მართვა და სასოფლო-სამეურნეო მომსახურება; შეიქმნა ტრაქტორის მართვის სახელმძღვანელო; განახლდა კოლეჯის სოციალური ქსელი და ვებ-გვერდი; მომზადდა ვიდეო-კლიპი კურსის შესახებ; გადამზადდა 3 პედაგოგი და 11 ბენეფიციარი მსმენელი; ასევე, კოლეჯმა უფლების დადასტურების გზით დაიმატა 5 მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებითა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სახელზე გამოგზავნილი წერილის საფუძველზე გაირკვა, რომ კოლეჯმა წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში წარმოდგენილი ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა. კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. შესწორდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მეხილეობა, რძის პროდუქტების წარმოება, ბუღალტრული აღრიცხვა, ინფორმაციის ტექნოლოგია) მე-10 პუნქტში - სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება - არსებული ჩანაწერი შემდეგნაირად - "განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება" ;
2. ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის როგორც ზოგადი, ისე პროფესიული მოდულებიდან ამოიშალა სარეკომენდაციო ჩანაწერები;
3. ბუღალტრული აღრიცხვის, მეხილეობისა და ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კოლეჯის სამივე მისამართზე ხორციელდება მოდულური სწავლებით და მიიღწევა მთლიანად კოლეჯში (სწავლის შედეგების 100 %) შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ მემორანდუმებში არ არის ინფორმაცია პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების შესახებ; კოლეჯს მემორანდუმები გაფორმებული აქვთ პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად და აღნიშნულ პარტნიორებს გამოიყენებს საჭიროების შემთხვევაში. შესაბამისად, მემორანდუმები ზოგადი ხასიათისაა და პროგრამის განხორციელების დროს, საჭიროებებიდან გამომდინარე, გაფორმდება დამატებით ხელშეკრულებები.
4. კოლეჯმა დუალური პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციებიდან გამოითხოვა შერჩეული ინსტრუქტორების პირადი საქმეები, რომლებითაც დასტურდება მათი კვალიფიკაციის ან/და სამუშაო გამოცდილების შესაბამისობა;
5. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ერთად განხორციელდა მეხილეობის, რძის პროდუქტების წარმოების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების როგორც ზოგადი, ისე პროფესიული მოდულების დამხმარე ჩანაწერების ადაპტირება. კერძოდ, დაკონკრეტდა სწავლებისა და შეფასების მეთოდები, დაზუსტდა მტკიცებულებები პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოსათვის;
6. მეხილეობის, რძის პროდუქტების წარმოების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების როგორც ზოგადი, ისე პროფესიული მოდულებში მიეთითა მოდულის განხორციელების ადგილი;
7. კოლეჯის კატალოგს დაემატა ანონსის ბლოკი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომელთა დამატებასაც გეგმავს კოლეჯი. განახლებული კატალოგი აიტვირთა კოლეჯის ვებ-გვერდზე;
8. კოლეჯი ჩართულია თვითშეფასების პილოტირებაში, რომლის ფარგლებშიც უკვე დაწყებულია მუშაობა პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით. ასევე, მზადდება ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი მექანიზმები, რომლებიც სრულად დაფარავს კოლეჯში მიმდინარე ყველა პროცესს და მიმართული იქნება ინსტიტუციურ განვითარებაზე. გარდა ამისა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მიმდინარეობს მუშაობა პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცედურის შემუშავების მიმართულებით, ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად; თვითშეფასების პილოტირების ფარგლებში კოლეჯმა დაიწყო მუშაობა სტარეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიაზე- უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული საგანამანათლებლო პროგრამა შეესაბამაება ჩარჩო დოკუმენტს;

9. განხორციელდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის N04-12 (14.02.2019) ბრძანების დანართი N1-ით დამტკიცებულ "თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესი"-ში (ცვლილება N04-153 13.12.2019). კერძოდ, შეფასების ინსტრუმენტებსა და კალენდარულ გეგმებს, ნაცვლად ხარისხის მართვის მენეჯერისა, შეითანხმებს სასწავლო პროცესის მენეჯერი;
10. ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დაბა სტეფანწმინდის ფილიალში დაემატა პროფესიული მოდულების განმახორციელებელი 1 პირი;
11. მეხილეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დაბა თიანეთის ფილიალში დაემატა პროფესიული მოდულების განმახორციელებელი 1 პირი;
12. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-150 (12.12.2019) დამტკიცდა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის წარმოების წესი, სადაც განისაზღვრა შეფასების უწყისის ფორმა, უწყისების შენახვისა და რეგისტრაციის პროცედურა;
13. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მომზადდა სამსახურებრივი ბარათი კოლეჯის დირექტორის სახელზე (N1708207 12.12.2019), რომელშიც დასაბუთებულია ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების მიერ IT Essential-ის კურსის გავლის საჭიროება და მოთხოვნილია, რომ კოლეჯის 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი თანხები, რათა კოლეჯმა გადაამზადოს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პროფესიული მოდულების განმახორციელებელი 4 პირი;
14. ძალადაკარგულად გამოცხადდა კოლეჯის დირექტორის №04-40 ბრძანებით (31.08.2015) დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და მის ნაცვლად დამტკიცდა ახალი მარეგულირებელი დოკუმენტი "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"(N04-152 13.12.2019). აღნიშნულ წესში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლად განისაზღვრა პირადი განცხადება (მუხლი 5); ასევე, განისაზღვრა სწავლის შედეგების განმეორებით შეფასების მექანიზმები (მუხლი 21), მათ შორის იმ მოდულებისთვის, რომლებიც არის სხვა მოდულის დაშვების წინაპირობა; დაკონკრეტდა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები და პროცედურა (მუხლი 6); (დან 9. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლინდა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ექსპერტთა ჯგუფი შეჯერდა დაწესებულებისათვის მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

- *აუცილებელია გაიწეროს სასწავლო ცხრილი, რომელშიც მითითებული იქნება პარტნიორი ორგანიზაციების პრაქტიკული ობიექტების დატვირთვა;*
- ზოგიერთ პრაქტიკის ობიეტზე არ არის მოწყობილი მოდულების თეორიული ნაწილის გასახორციელებლად საჭირო გარემო, თუმცა ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამე აუცილებლად მოეწყობოდა მოდულის თეორიული ნაწილის გასახორციელებლად საჭირო გარემო . კოლეჯის ადმიისტრაციამ აღნიშნა, რომ პატრნიორი ორგანიზაციები ჩართულნი არიან ამ საკითხის მოგვარეაში და აღნიშნულის შესრულების მონიტორინგს კოლეჯი განახორციელებს სწავლის დაწყებამდე „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ დადგენილი ვადების შესაბამისად, რის გამოც დაწესებულება თავის საქმიანობას აღნიშნულ კომპონენტან მიმართებაში აფასებს მეტწილად, რასაც ექსპერტთა ჯგუფიც იზიარებს.დაწყების სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია 06.07.2020, ხოლო დასრულების თარიღად - 30.09.2020;
- პროგრამას ჰყავს ახხალი ხელმძღვანელი, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაინიშნა, მართალია დარგის კვალიფიციური სპეციალისტია, მაგრამ არ იცნობდა პროგრამას და არც მოდულური//დუალური სწავლების გამოცდილება აქვს. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, ახლად შერჩეულ პროგრამის ხელმძღვანელს მოდულური//დუალური სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს ტრენინგები. **კოლეჯის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობით** გაირკვა, რომ კოლეჯმა პროგრამის ახალ ხელმძღვანელს საწყის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ეტაპზე გააცნო პროგრამა და მოდულები. შემდეგ ეტაპზე კი „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ გაწერილი აქტივობის მიხედვით ჩაერთვება სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ განხოციელებულ ტრენინგ-პროგრამაში: „ დუალური პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია. ამასთანავე, „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ გათვალისწინებულია აქტივობა- "პერსონალის გაძლიერებაზე ზრუნვა და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება"- ამის უზრუნველსაყოფად კოლეჯს ასევე შემუშავებული აქვს გეგმა, რომელიც სექტემბრის თვეში გულისხმობს პროფესიული მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარებას შიდა რესურსის გამოყენებით სწავლების პროცესში საჭირო სხვადასხვა საკითხების ფარგლებში.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის N04-88 ბრძანება 11.06.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	• მცხეთის რაიონის სოფ.წინამძღვრიანთკარი; • ფიზიკური პირი თედდორე ოქუაშვილი-მის.:მცხეთის რაიონი, სოფ.წილკანი; • შპს „ნიუ ვეტი“-მის.ქ.თბილისი, ხომლელის 4ა; • შპს „ვეტარგო-მის.ც.დადიანის ქ 16/18; • შპს ქართული ხორცის კომპანია-მის.მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ.ნატახტარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	დუალური სწავლება 15 სტუდენტი მცხეთის რაიონის სოფ.წინამძღვრიანთკარი; ფიზიკური პირითედდორე ოქუაშვილი-მის.:მცხეთის რაიონი, სოფ.წილკანი; შპს „ნიუ ვეტი“-მის.ქ.თბილისი, ხომლელის 4ა; შპს „ვეტარგო-მის.ც.დადიანის ქ 16/18; შპს ქართული ხორცის კომპანია-მის.მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ.ნატახტარი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

PDF Eraser Free

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის დათვალიერებით დადგინდა, რომ პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. კერძოდ, დაწესებულებაში განსაზღრულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისათვის)". ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას, მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის. რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, კოლეჯი ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მომსახურების სფეროზე, რითაც ხელს უწყობს რეგიონის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას.

პროგრამის „ვეტერინარია" განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტით ირკვევა, რომ ვეტერინარიის პროფესიული პროგრამის დამატების ფარგლებში, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ, განხორციელდა შრომის ბაზრის ანალიზი, სხვადასხვა კვლევისა და ანგარიშების მოკვლევაზე დაყრდნობით.

კოლეჯმა, მოთხოვნადი პროფესიების შესწავლის მიზნით, ასევე, ჩაატარა გამოკითხვა თბილისის რეგიონისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში. სულ გამოიკითხა 143 მოსწავლე, 10 სკოლიდან. შედეგების მიხედვით, ვეტერინარია არის იმ პროფესიებს შორის, რომლის დაუფლებაც უნდათ მოსწავლეებს (14.1%).ამასთანავე, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა ძირითადად ეფუძნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2019 წელს ჩატარებულ კვლევას, *2015-2021 წლებისათვის მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიას საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას ვეტერინარიის სფეროში.* დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით გამყარებულია შესაბამისი დასაბუთებით. კერძოდ, საქართველოს კანონში ,,უმაღლესი განათლების შესახებ" 2018 წლიდან ამოქმედებული ცვლილება, რომლის თანახმადაც ვეტერინარული განათლება დაუბრუნდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რეგულირებად სფეროს, რაც იმას გულისხმობს რომ სახელმწიფომ ეს მიმართულება საკუთარ პრიორიტეტად აქცია, ეს კი ხანგრძლივ პერსპექტივაში ვეტერინარიის, როგორც დარგის, პოპულარიზაციას გამოიწვევს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში საგანმანათლებო დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა კერძო სექტორთან თანამშრომლობა პროგრამების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით. კერძოდ, შრომის ბაზრის კვლევა, პროგრამების შემუშავებაში დამსაქმებლების ჩართვა, საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით თანამშრომლობა, პროგრამების გასაუმჯობესებლად კომპანიების წარმომადგენლების გამოკითხვა, საუკეთესო გამოცდილების გაზიარება საწარმოების მხრიდან, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პილოტირება. აქედან გამომდინარე, კოლეჯის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ვეტერინარიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა სრული ზოგადი განათლებაა. პროგრამის განხორციელების ვადა კი 24 თვეა. რადგან ვეტერინარიის პროგრამა დუალურია პროგრამაზე სტუდენტის მიღებას არეგულირებს კოლეჯის მიერ შემუშავბული აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულება. დებულების თანახმად, სტუდენტი წერს ტესტს და აქვს გასაუბრება კომისიასთან. კომისია შედგება კოლეჯისა და პარტნიორი კომპნიების წარმომადგენლებისაგან. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულად უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პსდ საგანმანათლებლო პროგრამისათვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით; დაწესებულებაში კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია A. B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, სამუშაო ფართი, სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა. ამასთანავე, პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში ადგილების ჯამი (დუალურის სწავლების შემთხვევაში), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა, საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, სწავლების ფორმა, პროგრამის განხორციელების მიდგომები. რადგან ვეტერინარიის პროგრამა დუალურია, პროგრამაზე სტუდენტის მიღებას არეგულირებს სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ შემუშავბული აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულება.

ინტერვიურებით დაზუსტდა პარტნიორ კომპანიებთან თანამშრომლობის სპეციფიკა სწავლების შედეგების გადანაწილების სქემა, ხელშეკრულებები, სტუდენტთა რაოდენობა, დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ამსახველი სასწავლო გეგმის განმარტება(რა ფორმით იყვნენ ჩართული პროგრამის შემუშავებაში და ა.შ.)

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსებისესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსებთან. ასევე, საგანმანათლებლო რესურსი შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რრესყრთთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულს

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N04-88 ბრძანებით (11.06.2020) აღნიშნული უფებამოსილება კოლეჯის დირეტორს მინიჭებული აქვს კოლეჯის წესდებით

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება – „ვეტერინარია“ – სრულ შესაბამისობაშია როგორც პროგრამის შინაარსთან, ასევე სწავლის შედეგებთან. პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი ითვალისწინებს ცხოველის კეთილდღეობის უზრუნველყოფის პირობების ცოდნას,, ცხოველთა მოძრაობის ორგანოთა და კანის საფარველი სისტემების მორფო-ფიზიოლოგიური თავისებურებების აღწერას , შიგნეულობის ორგანოთა სისტემის მორფო-ფუნქციური თავისებურებებისა და ცოცხალ ქსოვილებში ფიზიკური, ქიმიური პროცესების მიმდინარეობის ცოდნას, გარემო პირობებისადმი შეგუებისა და ცხოველთა ქცევის საკითხების აღწერა და ა.შ.

პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია, ასევე, განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორთან (ISCED), 0841 -თან, აღმწერი, რომლის მიხედვითაც, უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში „შეისწავლის ცხოველების დაზიანებებისა და დაავადებების პრევენციას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, ასევე მათ ზოგად მოვლას. მოიცავს ავადმყოფი, დაშავებული და დაუძლურებული ცხოველების მკურნალობას ვეტერინარულ კლინიკაში.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია ვეტერინარიის“ ჩარჩო დოკუმენტი. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამა შეესაბამება აღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;
- კოლეჯის სტრატეგიული გეგმა;
- კოლეჯის სამოქმედო გეგმა;
- კოლეჯის „ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“-დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N 04-111 (2018 13.12.2019) დანართი N1;
  ცვლილება: N04-04 11.01.2019 დანართი N1, N04-12 14.02.2019 დანართი N2 ცვლილება: N04-74 28.05.2020 დანართი N1;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების კოლეჯის დირექტორის N 04-88 ბრძანება (11.06.2020);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები;
- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის N 04-03 11.01.2019 ბრძანებით დანართი N2 ცვლილება: N04-12 14.02.2019 დანართი N3;
- კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ვეტერინრიის მომსახურების პროგრამისათვის;
- საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო რესურსი;
- პროგრამის დამტკიცების აქტი-კოლეჯის დირექტორის N 04-88 ბრძანება (11.06.2020)
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისბრძანება No115/ნ2019 წლის 19 ივნისი ქ. თბილისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის წესდების დამტკიცების შესახებ;
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED)
- ინტერვიურება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

PDF Eraser Free

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/ სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულება ითხოვს 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას. ვიზუალური დათვალიერებით აღნიშნული პროგრამისათვის განსაზღვრულია A და B სასწავლო გარემო: A სასწავლო გარემოში არის სამუშაო ადგილი ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტისათვის, გარდა ამისა, უცხოური ენის მოდულისათვის გამოიყენება უცხო ენის კაბინეტი (ოთახი N209), სადაც ასევე არის სამუშაო ადგილი 15 პროფესიული სტუდენტისათვის; B სასწავლო გარემოში არის სამუშაო ადგილი 30 პროფესიული სტუდენტისათვის (ოთახი N208 და N213, თითოეულში 15 ადგილი);

პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 5 ვეტერინარულ და ამ პროგრამასთან დაკავშირებულ დაწესებულებასთან (ეს არის კლინიკა, ფერმა თუ საწარმო) რომლებიც უზრუნველყოფენ ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას. ვიზიტის ფარგლებში დისტანციურ ფორმატში სასწავლო გარემოსა და პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებით დადგინდა, რომ ყველა ობიექტი სრულად არის აღჭურვილი საჭირო რესურსებით. ამასთანავე, ვინაიდან პროფესიული მოდულები ძირითადად განხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე, სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის მოდულების თეორიული ნაწილის გასახორციელებლად აუცილებელის შესაბამისი გარემო, რომელიც ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული. დაწესებულების წარმომდგენლებს განემარტათ, რომ აუცილებელია დროულად გაიმართოს მოდულების თეორიული ნაწილის გასახორციელებლად სათანადო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვეტერინარიის“ ფარგლებში კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციებია:

- ფიზიკური პირი-თედორე ოქუაშვილი-მის: მცხეთის რაიონი სოფ. წილკანი;
- შპს „ნიუ ვეტი“ -მის ქ. თბილისი, ხომლელის 4ა;
- შპს ვეტაგრო -მის: ც.დადიანის ქ 16/18;
- ი/მ ვაჟა ტოპრაკაშვილი მის: მცხეთის რაიონი სოფ. მუხრანი;
- შპს ქართული ხორცის კომპანია -მის: მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ ნატახტარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პარტნიორი ორგანიზაციების პრაქტიკული ობიექტების დათვალიერებისა და ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ზოგიერთ ობიექტზე ერთდროულად ვერ მოხერხდება 15 პროფესიული სტუდენტის მიღება, თუმცა საწარმოებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში განსაზღვრულია სტუდენტთა რაოდენობა არა უმეტეს 15 პროფესიული სტუდენტისა. *აუცილებელია გაიწეროს სასწავლო ცხრილი, რომელშიც მითითებული იქნება პარტნიორი ორგანიზაციების პრაქტიკული ობიექტების დატვირთვა*

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ პრაქტიკის ობიეტზე არ არის მოწყობილი მოდულების თეორიული ნაწილის გასახორციელებლად საჭირო გარემო, თუმცა ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამე აუცილებლად მოეწყობოდა მოდულის თეორიული ნაწილის გასახორციელებლად საჭირო გარემო . **კოლეჯის ადმიისტრაციამ აღნიშნა, რომ პატრნიორი ორგანიზაციები ჩართულნი არიან ამ საკითხის მოგვარეაში და აღნიშნულის შესრულების მონიტორინგს კოლეჯი განახორციელებს სწავლის დაწყებამდე „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ დადგენილი ვადების შესაბამისად, რის გამოც დაწესებულება თავის საქმიანობას აღნიშნულ კომპონენტან მიმართებაში აფასებს მეტწილად, რასაც ექსპერტთა ჯგუფიც იზიარებს.დაწყების სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია 06.07.2020, ხოლო დასრულების თარიღად - 30.09.2020**,

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას**

ვეტერინარიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 25 პროფესიულ მასწავლებელთან, რომელთაგან 11 უძღვება პროფესიულს, 1 ქართული ენის, ხოლო დანარჩენი 13 ზოგად მოდულებს. სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 15. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან სრულად უზრუნველყოფს ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრმის გნხორციელების მდგრადობას.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვლიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები. აქედან გამომდინრე, ვეტერინარიის პროგრმაში ჩართულ თითოეულ მასწავლებელს აქვს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ კოლეჯში წარდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. პირადი საქმეების დათვალიერებითა და გასაუბრებით გაირკვა, რომ პარტნიორ ორგანიზაციაში სწავლებას უძღვებიან გამოცდილი პროფესიისათვის განსაზღვრული ინსტრუქტორები. გაირკვა ისიც, რომ პროგრამის განმახორციელებელთა შორის არიან როგორც პრაქტიკული, ასევე სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილების მქონე მასწავლებლები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკის ობიექტებზე ინსტრუქტორები არც მოდულებს იცნობდნენ და არც შეფასების ინსტრუმენტებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და ინტერვიურებით გაირკვა ისიც, რომ პრაქტიკის ობიექტზე მომუშავე პირებს არ ჰქონდათ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების გამოცდილება, თუმცა საგანმანათლებლო დაწესებულება ვეტერინარიის პროგრამისა და დუალური სწავლების ფარგლებში შერჩეულ ინსტრუქტორებთან გეგმავს ტრენინგებს სვადასხვა თემატიკაზე: (დუალური პროგრამის სპეციფიკა და თავისებურებები, დუალურ პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევი წესი და პრაქტიკა, მოდულის აგებულება და მოდიფიცირება, შედეგების დადასტურება და შეფასების საკითხები დუალურ პროგრამაში, დუალური პროგრამისათვის შემუშავებული დღიურის შევსების წესი, პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლების მეთოდოლოგია.- ტრენინგების თემატიკა შესაძლოა შეიცვალოს, საჭიროებიდან გამომდინარე).

აღნიშნული ტრენინგების ჩატარება იგეგმება აგვისტოსა და სექტემბრის თვეში დისტანციურ რეჟიმში ან უშუალოდ კოლეჯის ბაზაზე. ტრენინგები ჩატარდება მოწვეული ტრენერის ან კოლეჯის შიდა რესურსის გამოყენებით კვირაში 2 დღე, 4 საათის განმავლობაში.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

ვეტერინარიის პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავდა დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდებოდა მისი კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დროს გაირკვა, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო პროგრამის ხელმძღვანელობას ვეღარ შეძლებდა, ამიტომ ვიზიტის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებამ გასაუბრების გზით ვეტერინარიის პროგრამის ხელმძღვანლად ახალი კადრი შეარჩია. მართალია ახალ კადრს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია გააჩნია, მაგრამ არც პროგრამას იცნობს და არც მოდულური სწავლების გამოცდილება აქვს. რაც პროგრამის წარმატებით განხორციელებას გარკვეულ საფრთხეს შეუქმნის.

კოლეჯის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობით გაირკვა, რომ კოლეჯმა პროგრამის ახალ ხელმძღვანელს საწყის ეტაპზე გააცნო პროგრამა და მოდულები. შემდეგ ეტაპზე კი „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ გაწერილი აქტივობის მიხედვით ჩაერთვება სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ განხოციელებულ ტრენინგ-პროგრამაში: „ დუალური პროგრამის სწავლების მეთოდოლოგია. ამასთანავე, „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში“ გათვალისწინებულია აქტივობა- "პერსონალის გაძლიერებაზე ზრუნვა და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება"- ამის უზრუნველსაყოფად კოლეჯს ასევე შემუშავებული აქვს გეგმა, რომელიც სექტემბრის თვეში გულისხმობს პროფესიული მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარებას შიდა რესურსის გამოყენებით სწავლების პროცესში საჭირო სხვადასხვა საკითხების ფარგლებში.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში**

ვეტერინარიის პროფესიულ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის როგორც ელექტრონული სახით , ისე მატერიალური სახით. შექმნილია ფომულარები და ანბანური კატალოგი. ყველა რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთკეო წესით.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. შშმ და სსსმ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლის და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მეშვეობით. შშმ და სსსმ სტუდენტებისათვის კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით, შესაბამისად, სსსმ სტუდენტებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. შშმ და სსსმ სტუდენტი მოდულზე დაიშვება მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული პირობით.კერძოდ, კვალიფიკაციის მინიჭება კვალიფიკაციის მოსაპოვებლად საჭიროა 120 კრედიტის დაგროვება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა**

დაწესებულების შემოსავლებისა და ხარჯების შეფარდებით დადგენილია(ვაუჩერული და პროგრამული), რომ პროგრამის განხორციელება მიზანშეწონილია, რაც დასტურდება ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამსათვის საჭირო მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვილობის დოკუმენტები;
- პროგრამის განმახორციელებლები;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-152

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(13.12.2019)“

PDF Eraser Free

- ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო წესით დამუშავეული სასწავლო რესურსი
- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიურება;
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

PDF Eraser Free

ინტერვიურებით დადგინდა, რომ კოლეჯი ცდილობს პროგრამების განხორციელებისათვის შექმნას საჭირო სასწავლო და სამუშაო გარემო, ცდილობს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებასა და სახელმწიფო სტანდარტებთან// შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მათ დაახლოებას. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, კოლეჯში განსაზღვრულია პოგრამის შემუშავებისა და გადახედვის წესები. სხვადასხვა გამოკითხვის შედეგებით კი ცდილობს სასწავლო/სამუშაო გარემოს გაუმჯობესებასა და საჭიროების შემთხვევაში კი- პროგრამების გადახედვა-მოდიფიცირებას.

"ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურებისას აღინიშნა რომ არ განხორცილებულა ზემოაღნიშნულ კითხვართა ანალიზი და არ ჩატარებულა დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა, თუმცა დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ინდენტიფიცირებული აქვს მეტწილი შესაბამისობა და მისი უზრუნველყოფის აქტივობად გაწერილი აქვს „დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა“.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კოლეჯში მუშავდება სხვადასხვა კითხვარი როგორც კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევისა, ისე კურსების შეფასების კითხვარი სტუდენტებისა და მასწავლებელთათვის, ასევე, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის დასწრებისა და დამსაქმებელთა კითხვარები.

უნდა აღიშნოს, რომ კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია ციკლზე: დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გაუმჯობესე. კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი.შექმნილია შიდა მხარდაჭერისა და ვერიფიკციის ჯგუფები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების გაუმჯობესება, რის გამოც დაწესებულება თავის საქმიანობას აღნიშნულ კომპონენტან მიმართებაში აფასებს მეტწილად, რასაც ექსპერტთა ჯგუფიც იზიარებს.დაწყების სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია 01.07.2020, ხოლო დასრულების თარიღად - 15.11.2020. "

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №04-40 ცვლილება: N04-24 06.03.2019 დანართი N1
- „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და ვერიფიკაცია“-დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-26 11.03.2019 დანართი N1 ცვლილება N04-72 28.05.2020 დანართი N1
  - დანართი N1 შესაბმისობის უზრუნველყოფის გეგმა
- თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესი. დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-12 დანართი N1 14.02.2019 ცვლილება: N04-153 (13.12.2019) ცვლილება: N04-73 (28.05.2020) დანართი N1, დანართი N2 დანართი N1. შეფასების ინსტრუმენტის ფორმა; დანართი 2. თემატურ კალენდარული გეგმის ფორმა
- დანართი N1 შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- კოლეჯის ''ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“-დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N ბრძანებით 04-111 (2018 13.12.2019) დანართი N1 ცვლილება: N04-04 11.01.2019 დანართი N1 N04-12 14.02.2019 დანართი N2 ცვლილება: N04-74 28.05.2020 დანართი N1
- ინტერვიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 **სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, მაგრამ ინტერვიურებისას ვისაუბრეთ დისტანციური სწავლების დროს შექმნილ სიტუაციაზეც, თუ როგორ წარმოუდგენიათ დისტანციური სწავლების დროს სწავლის შედეგების მიღწევა ან პროგრამის სრულყოფილად განხორციელება? ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დისტანციურად შეუძლებელია პროფესიული მოდულების განხორციელება. სასწავლო პროცესი, რომელიც გამოცდილებაზეა დაფუძნებული, რეგულირდება კოლეჯის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით''.

სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები, დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა.უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა შემუშავებულია დუალური მიდგომით, რომელშიც სავალდებულო პროფესიული და კლინიკური სწავლების მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% -ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. ამასთანავე, **სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი მოდულები, მართალია, გამიჯნულია ერთმანეთისაგან და აღნიშნულია, რომელი მოდული განხორციელდება საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე და რომელი - კოლეჯში, რომელი -საწარმოო პრაქტიკის ობიექტიზე და რომელი -კლინიკაში., მაგრამ არ იყო დაზუსტებული ხუთიდან რომელი პარტნიორი ორგანიზაციის რომელ პრაქტიკულ ობოექტზე განხორციელდება კონკრეტულად ესა თუ ის მოდული(მაგ.: ცხოველთა მკურნალობა,ვეტერინარი ქირურგის ასისტირება,ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი , ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია, შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა და ა,შ,)**

კოლეჯის არგუმენტიებული პოზიციის გაცნობით დადგინდა, რომ კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივლისის N04-116 ბრძანების საფუძველზე ვეტერინარიის პროგრამაში შევიდა ცვლილება, კერძოდ. თითოეულ მოდულში მიეთითა რომელ პარტნიორ ორგანიზაციებში განხორციელდება ესა თუ ის მოდული. ასევე, სასწავლო გეგმაში კვირების მიხედვით განსაზღვრულია რამდენი დღის განმავლობაში იქნებიან სტუდენტები პრაქტიკის ობიექტებსა თუ კოლეჯში. სწავლის შედეგების მისაღწევად კვირის განმავლობაში საათობრივი დატვირთვის განაწილების უფლებას კოლეჯი უტოვებს პარტნიორ ორგანიზაციებს და სასწავლო გეგმაში თითოეული მოდულისათვის მითითბული განხორციელების პერიოდის შესაბამისად სტუდენტებთან შეთანხმებით თვითონ შეადგეგნენ მოქნილ გრაფიკს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ვეტერინარიაში კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 120 კრედიტია საჭირო, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 150 კრედიტი. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

უნდა აღინიშნოს, რომ „სასწავლო პროცესის მარეგილუებელი წესი“ სტუდენტთა ინტერესებს ითვალისწინებს. ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი ცხრილით. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილი დგება პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით და ყოველი სასწავლო კვირის დასაწყისში განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილას. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან პროფესიულ პროგრამაზე მობილობით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტისტის ინდივიდუალური გეგმის შესადგენად იდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ინიცირებას ახდენს სასწავლო პროცესის მენეჯერი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლილებას) ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომაში ცვლილების მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს . შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის საჭირო დამატებით საგანამანთლებლო მომსახურებას. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ- ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

ინტერვიურებით დადგინდა, რომ კოლეჯის ადმინისტრაცია არ გამორიცხავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების არსებობას ან საჭიროების შემთხვევაში დროებით გაზრდილი დატვირთის ფარგლებში დამატებითი მეცადინეობებისა/კონსულტაციების ჩატარებას ფორს-მაჟორულ პირობებში.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამით განსაზღვრული თითოეული მოდული ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორიცაა: ღია ან/და დახურული ტესტი, კაზუსის ან/და ამოხსნილი ამოცანის შეფასება; ზეპირი გამოკითხვა, დისკუსიაში/დებატებში მონაწილეობის, სიტუაციური ანალიზის, სტუდენტის მიერ მომზადებული პრეზენტაციის შეფასება, ვიდეო ჩვენება და და.სხვ.

ინტერვიურებით დადგინდა, რომ დუალური სწავლების ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებას გაცნობიერებული აქვს, რომ სასწავლო პროცესი ორ კომპონენტს უნდა აერთიანებდეს: სწავლება და დარგობრივი კომპეტენცია. სწორედ ამიტომ დაწესებულებას განესაზღვრა როგორც სამუშაო შეხვედრები პრაქტიკის ობიექტზე, ისე მიზნობრივი ტრენინგების სწავლებაშეფასებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების უზრუნველსაყოფად.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროებაზე გადაწყვეტილებას იღებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ინტერდისციპლინური გუნდის დასკვნის და პროფესიული მასწავლებლის რეკომენდაციის საფუძველზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზნით იქმნება კომისია ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული მასწავლებლისა და ხარისხის მართვის მენეჯერის შემადგენლობით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ და რაოდენობრივ ცვლილებას) ან/და აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომაში ცვლილების მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და შესაბამისად, აზუსტებს . შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის საჭირო დამატებით საგანამანთლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ- ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. **სსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამის ხელშეკრულებით / ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

„ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შემდეგ საწარმოებთან:

- [redacted]ის: მცხეთის რაიონი სოფ. წილკანი
- შპს „ნიუ ვეტი“ -მის ქ. თბილისი, ხომლელის 4ა
- შპს ვეტაგრო -მის: ც.დადიანის ქ 16/18
- [redacted]ცხეთის რაიონი სოფ. მუხრანი
- შპს ქართული ხორცის კომპანია -მის: მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ ნატახტარი აღნიშნული თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

[redacted]

კოლეჯის დირექტორის №04-40 ბრძანების დანართი N9-ით დამტკიცებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოებას, სამედიცინო დახმარების აღმოჩენას კოლეჯის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას. ინტერვიურებისას კოლეჯის პედაგოგებიც და პრაქტიკის ინსტრუქტორებიც აღნიშნავდნენ, რომ მეტად მნიშვნელოვანია საევაკუაციო გეგმის ცოდნა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო გეგმა-კოლეჯის დირექტორის N 04-88 ბრძანება (11.06.2020)
- თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესი. დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-12 დანართი N1 14.02.2019 ცვლილება: N04-153 (13.12.2019) ცვლილება: N04-73 (28.05.2020) დანართი N1, დანართი N2 დანართი N1.
- შეფასების ინსტრუმენტის ფორმა; დანართი 2. თემატურ კალენდარული გეგმის ფორმასსიპ ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N04-152 (13.12.2019);
- პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულენებეი;
  - „სახანძრო უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი” დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით№04-40 დანართი N9 შესულია ცვლილებები დირექტორის #04- 45 ბრძანების დანართი #3-ის შესაბამისად
- კოლეჯის ,,წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესები. დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-27 11.03.2019 დანართი N1 შეფასება: o გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ. o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
- კოლეჯის დირექტორის N04-116 ბრძანება ვეტერინარიის პროგრამაში ცვუკებების შესახებ

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**
2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**
3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**
4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

კოლეჯში შეფასების სისტემა რეგულირდება კოლეჯის მიერ შემუშავებული თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესით. თემატურ–კალენდარული გეგმა წარმოადგენს კონკრეტული მოდულის განხორციელების წინასწარ დაგეგმვას დროში. ეს არის მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

შეფასების ინსტრუმენტები წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის განმსაზღვრელი შეფასების საშუალებას, რომლითაც დასტურდება მიაღწია თუ არა პროფეისულმა სტუდენტმა სწავლის შედეგს.

პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენისას იყენებს კონკრეტულ მოდულს. თემატურ–კალენდარული გეგმები და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება ხდება სასწავლო პროცესის მენეჯერთან, ხოლო ვერიფიკატორი არის ხარისხის მართვის მენეჯერი.

გარდა ამისა, რადგან პროგრამა დუალურია, შეფასების შესაბამისი ფორმა, ითვალისწინებს შესასრულებელი სამუშაოების კალენდარულ გეგმას, შეფასების სავარაუდო განრიგს, საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგებსა და მათ დადასტურებას, პროფესიული სტუდენტის დღიურის ფორმას.

შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის საკითხი ახალი სტანდარტების შესაბამისად დანერგილია კოლეჯის რეგულეციების საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; კოლეჯში შეფასების სისტემა რეგულირდება კოლეჯის მიერ შემუშავებული თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესით.**

შეფასების ინსტრუმენტები წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის განმსაზღვრელი შეფასების მიცემის საშუალებას, რომლითაც დასტურდება მიაღწია თუ არა პროფეისულმა სტუდენტმა სწავლის შედეგს. შეფასების ინსტრუმენტების საფუძველზე იქმნება სასწავლო უწყისები, რომელთა საფუძველზეც მიმდინარეობს მსჯელობა პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხზე.

პროფესიული მასწავლებელი შეფასების ინსტრუმენტების შედგენისას იყენებს კონკრეტულ მოდულს. თითოეული შეფასების ინსტუმენტი იქმნება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით, რაც დასტურდება შესაბამისი ხელმოწერით. ხოლო ვერიფიკატორს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი და ვერიფიკაციის ჯგუფი.

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურებისას აღინიშნა რომ დაწესებულების შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებას და შექმნილია შიდა მხარდაჭერისა და ვერიფიკაციის ჯგუფები, მაგრამ არ განხორციელებულა ვერიფიკაცია, თუმცა დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ინდენტიფიცირებული აქვს მეტწილი შესაბამისობა და მისი უზრუნველყოფის აქტივობად გაწერილი აქვს „საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა და ვერიფიკაციის შემუშავებული მექანიზმის დანერგვვა კოლეჯში“, დაწყების სავარაუდო თარიღად განსაზღვრულია 01.07.2020, ხოლო დასრულების თარიღად - 15.11.2020.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

კოლეჯში თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესის მიხედვით, რეგულირდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აღნიშნული წესის თანახმად, შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო უწყსი უვადოდ.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. კოლეჯში შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას.**

კოლეჯში შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. აღნიშნული მექანიზმები პროფესიული სტუდენტების განმეორებით გამოცდაზე გასვლისა და გასაჩივრების საშუალებას იძლევა

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები და ვერიფიკაცია“-დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-26 11.03.2019 დანართი N1
- თემატურ - კალენდარული გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესი. დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N04-12 დანართი N1 14.02.2019 ცვლილება: N04-153 (13.12.2019) ცვლილება: N04-73 (28.05.2020) დანართი N1, დანართი N2 დანართი N1შეფასების ინსტრუმენტის ფორმა; დანართი 2. თემატურ კალენდარული გეგმის ფორმა;
- საკვლიფიკაციო გამოცდის ჩაარების წესი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N04-46 (14. 05.2019) ბრძანებით დანართი N1
- ინნტერვიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება: ○ გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ. ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

.....

.....

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი 17.07.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: